ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილების - „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N107/ო ბრძანებისა და 2020 წლის 30 ნოემბრის N11/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 3 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდებით: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271. საპროექტო არეალში იგეგმება საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანება, კერძოდ სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი, კოტეჯი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი/სახლები. აღნიშნული შენობებისთვის სართულიანობა განისაზღვრება 2 სართული მანსარდით. პარკინგები მოეწყობა კანონმდებლობის შესაბამისად. მიწის ნაკვეთებს მისასვლელი გზა გააჩნიათ როგორც სამხრეთთ არსებული გზიდან ისე ჩრდილოეთით გრუნტის საფარიანი გზიდან. შესაბამისად, შიდა სივრცის მოწყობის მიზნით, საცხოვრებელი სახლების განთავსება მოხდება უშუალოდ გზების მხრიდან. პროექტით გათვალისწინებულია შიდა საუბნო გამწვანებები და მათვის გამოყოფილია შესაბამისი არეალები.

საპროექტო ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში, 2021 წლის 16 ივლისამდე, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge